



ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში აჭარის განათლების ფონდის მასწავლებლთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის ინგლისური ენის პედაგოგებისათვის დაგეგმა პროექტი:

„სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“

ტრენერები: 10 ადგილობრივი მენტორ/ტრენერი

სამიზნე ჯგუფი: ბათუმის 25 საჯარო სკოლის ინგლისური ენის 36 პედაგოგი.

ხანგრძლივობა: მაისი - დეკემბერი, 2015 წ.

I ეტაპი:

1. პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფის ორგანიზება;
2. ტრენერების დაქირავება და სკოლებში განაწილება;
3. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტების შემუშავება: კითხვარები, შეფასების და ანგარიშების ფორმები;
4. პროგრამის პრეზენტაცია
5. 5 დღიანი ტრენერთა სატრენინგო კურსის 'მენტორული უნარების განვითარება, უწყვეტი პროფესიული განვითარება და საგაკვეთილო დაკვირვება/ჩატარება, სულ 25 სთ.
6. ბრიტანეთის საბჭოს მიერ მასწავლებლთა ტესტირება ენის ცოდნის შეფასების მიზნით. **Aptis** არის ბრიტანეთის საბჭოს მიერ შემუშავებული ინგლისური ენის გლობალური ტესტი, რომელიც ამოწმებს ინგლისური ენის უნარებს – კითხვა, წერა. ტესტი მოიცავს გრამატიკისა და ლექსიკის სავალდებულო კომპონენტს. ტესტი გამიზნულია მასწავლებლების ინგლისური ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად .
7. მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეტაპის და პროფესიული საჭიროებების კვლევა ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩარჩოს მექანიზმებით ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ პროექტის ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში გაწეული სამუშაოს ანგარიშის და რეკომენდაციების მომზადება.
8. თითოეული პედაგოგის სწავლების პრაქტიკაზე ერთჯერადი დაკვირვება მათი პროფესიული საჭიროებების კვლევის მიზნით.
9. ტრენერების მიერ კვლევის დეტალური შედეგების ანგარიშის მომზადება ტესტების შედეგების ჩათვლით.
10. პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ ეტაპობრივი ანგარიშის და რეკომენდაციების მომზადება ფონდისთვის წარსადგენად.

II ეტაპი:

1. მასწავლებელთა შერეული ტიპის ტრენინგი ენობრივი კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.
2. ტრენერების პედაგოგთა სამუშაო ჯგუფებთან შეხვედრა თვეში ერთხელ. მოკლე მეთოდური სემინარების ჩატარება.
3. ტრენერების მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის მომზადება და განახლება.
4. ორ კვირაში ერთხელ ტრენერების ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები პედაგოგებთან.
5. პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ ეტაპობრივი ანგარიშის და რეკომენდაციების მომზადება აჭარის განათლების ფონდისთვის წარსადგენად.

III ეტაპი:

1. ტრენერების შეხვედრა პედაგოგთა სამუშაო ჯგუფებთან თვეში ერთხელ. მოკლე მეთოდური სემინარების ჩატარება.
2. ტრენერების მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის მომზადება და განახლება.
3. ორ კვირაში ერთხელ ტრენერების ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები პედაგოგებთან.
4. მცირე ფორმატის კონფერენცია ცოდნის და გამოცდილების გავრცელების მიზნით.
5. ტრენერთა და პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ სწავლების პრაქტიკაზე საბოლოო დაკვირვება.
6. მასწავლებელთა განმეორებითი ტესტირება - **Aptis**.
7. პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ პროგრამის განხორციელების საბოლოო ანგარიშის წარდგენა აჭარის განათლების ფონდისთვის.

IV ეტაპი:

სატრენინგო - კულტურული პროგრამა დიდ ბრიტანეთში.

სამი მასწავლებელი, რომლებმაც საგრძნობი პროგრესი აჩვენეს და ჩარჩოს მიხედვით განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწიეს, მონაწილეობას მიიღებენ საზაფხულო სკოლაში დიდ ბრიტანეთში ენის პროფესიული ფლობის, თავიანთი უნარ-ჩვევების შემდგომი დახვეწის და ენის სწავლების მაღალკვალიფიცირებული ცოდნის მიღების მიზნით.